საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 5 03/02/2020

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის #50/76 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63 მუხლისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) 27 - ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. დავით მაღლაფელიძის ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობიდან გასვლის გამო შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის #50/76 განკარგულების „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“პირველ მუხლში.

მუხლი 2. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობიდან დავით მაღლაფერიძის გასვლა მიღებული იქნეს ცნობად .

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 –ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე